სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080172075623515

**# 1784**

**25** / დეკემბერი / **2015** წ.

## სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ზოგიერთი არამართლზომიერი ქმედების გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში შესაძლო კორუფციული რისკების არსებობის შემსწავლელი და მათ აღმოსაფხვრელად სათანადო წინადადებების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც უზრუნველყოფს კანონის მოთხოვნათა შესრულებასა და დაცვას. ამ მიზნის მისაღწევად, სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერების მონიტორინგი, რომლის დანიშნულებაა არა მხოლოდ არამართლზომიერ ქმედებათა გამოვლენა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, არამედ, პირველ ყოვლისა, შესყიდვების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მასშტაბით სააგენტოს როლი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომპონენტში. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის № 170 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სააგენტომ იკისრა ვალდებულება, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საჯარო ფინანსებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და კორუფციული რისკების შესამცირებლად, რამაც, საბოლოო ჯამში, შედეგად უნდა გამოიღოს უფრო დახვეწილი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, გამჭვირვალობის უფრო მაღალი დონე, მეტად სამართლიანი და კონკურენტუნარიანი გარემო, მინიმუმამდე დაყვანილი კორუფციული რისკები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის №306 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 ნოემბრის №21 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და საქმიანობის წესის“ 24-ე მუხლის გათვალისწინებით:

1. დამტკიცდეს „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ზოგიერთი არამართლზომიერი ქმედების გამოვლენის მეთოდოლოგია“ (დანართი №1).

2. შეიქმნას სააგენტოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში შესაძლო კორუფციული რისკების არსებობის

შემსწავლელი და მათ აღმოსაფხვრელად სათანადო წინადადებების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი დანართი №2-ის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფისა და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ სხვა არამართლზომიერ ქმედებათა გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 მაისის № 267 განკარგულება.

4. განკარგულება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

# სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ზოგიერთი არამართლზომიერი ქმედების გამოვლენის მეთოდოლოგია

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

# სარჩევი

თავი 1. ზოგადი დებულებები ..... 2

თავი 2. შემსყიდველი – მიმწოდებელი ..... 5

2.1 მორგებული სატენდერო დოკუმენტაცია ..... 5

2.2 დისკვალიფიკაციის ბოროტად გამოყენება ..... 9

2.3 კონკრეტული მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭების მცდელობა, მცდელობის შეუძლებლობა და ტენდერის შეწყვეტა (შეწყვეტილი ტენდერების მონიტორინგი) ..... 13

2.4 დადებული ხელშეკრულების ცვლილება კონკრეტული მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით ..... 15

2.5 მცდელობა შემსყიდველის მხრიდან, მოიპოვოს კანონით მინიჭებული უფლება, განახორციელოს შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (კონკრეტულ მიმწოდებლთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით) – არშემდგარი ტენდერები ..... 18

თავი 3. მიმწოდებელი – მიმწოდებელი ..... 20

3.1 შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენა ..... 21

3.2 მიმწოდებელთა გარიგება ოლიგოპოლისტურ ბაზარზე ..... 22

3.3 მიმწოდებელთა შეთანხმებული ქმედება კონკურენტულ ბაზრებზე ..... 23

# თავი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე მეთოდოლოგიის მიზანია, ტენდერებში ზოგიერთი არამართლზომიერი ქმედების იდენტიფიცირების ხელშეწყობა. შედეგად, მეთოდოლოგია განმარტავს, ერთი მხრივ, არამართლზომიერი ქმედების სქემებს, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა მითითებებს, თუ რა ცვლადებში აისახება კონკრეტული ქმედება. დოკუმენტში აღწერილი სქემები მოიცავს სახელმწიფო შესყიდვებში, როგორც შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს, ასევე თავად მიმწოდებლებს შორის შეთანხმებულ ქმედებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში მოყვანილი მსჯელობა ემსახურება ასევე არამართლზომიერი ქმედების პრევენციის მექანიზმების ძიებას. სისტემური პრევენციის ინსტრუმენტები განეკუთვნება შიდა საორგანიზაციო განხილვების საგანს და, შესაბამისად, არ წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს.

მეთოდოლოგიის ძირითად ნაწილში მოყვანილი მსვლელობა იყოფა შემდეგ სამ ეტაპად:

**პირველი ეტაპი: საჭირო ინფორმაციის მოძიება და საეჭვო ტენდერების იდენტიფიცირება.**

იქიდან გამომდინარე, რომ არამართლზომიერი ქმედებები, გარკვეულწილად, შედეგის ამსახველ, ენდოგენურ ცვლადებში აისახება, მონიტორინგის პროცესის პირველ ეტაპს სწორედ შედეგის ამსახველი ცვლადების ანალიზის საფუძველზე, კონკრეტულ ტენდერებში, შემსყიდველი ორგანიზაციების ან/და მიმწოდებლების არამართლზომიერი ქმედების ვარაუდის გაჩენა წარმოადგენს. მეთოდოლოგია იძლევა კონკრეტულ მითითებებს, თუ ტენდერების მთლიანი ჩამონათვალიდან რა მონაცემებისა და ფილტრების გამოყენებით შეიძლება მოხდეს საეჭვო ტენდერების გამოფილტვრა.

**მეორე ეტაპი: კრიტიკული ტენდენციების გამოვლენა შემსყიდველ ორგანიზაციებში.**

ეტაპი გულისხმობს პირველ ეტაპზე გამოვლენილი კრიტიკული ტენდერების დაჯგუფებას შემსყიდველი ორგანიზაციებისა და CPV კოდების (სექტორების) მიხედვით. ეტაპის მიზანს შემსყიდველი ორგანიზაციების შესახებ ზოგადი (სტატისტიკური) სურათის შექმნა წარმოდგენს, რათა მონიტორინგის განმახორციელებელ პირს მიეცეს შესაძლებლობა, გამოავლინოს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტენდენციები და ასახოს მონიტორინგის რიგითობა მონიტორინგის პროცესის შემდგომი ეტაპისათვის.

**მესამე ეტაპი: კონკრეტული შესყიდვების განხორციელების მონიტორინგი.**

პროცესის ბოლო ეტაპს კონკრეტული შესყიდვების მონიტორინგი, დასკვნების გამოტანა და, შესაბამისად, წარმოქმნილი ეჭვის დადასტურება, უარყოფა ან/და პასუხგაუცემელი შეკითხვების ჩამოყალიბება წარმოადგენს. მეთოდოლოგია იძლევა ასევე მითითებას, თუ რა უნდა იქნას გადამოწმებული კონკრეტული ტენდერების მონიტორინგის პროცესში

**გრაფიკულად, ანალიზის მსვლელობა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:**

## I ეტაპი

E-procurement პორტალიდან ინფორმაციის მართვის სისტემის გამოყენებით საჭირო მონაცემების მოპოვება; მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ტენდერების გაფილტვრა

| ინფორმაციის წყარო | E-Procurement სისტემა (აგრეგირებული ინფორმაცია დასრულებულ ტენდერებზე) | E-Procurement სისტემის მონაცემთა ერთიანი ბაზა |
|---|---|---|
| აქტივობა | არასისტემატიზებული მონაცემები<br>საჭირო მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნა |  კრიტიკული ტენდერების იდენტიფიცირება |
| პროცესში ჩართული მხარეები | სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი; ანალიტიკური სამსახური | სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანალიტიკური სამსახური |

## II ეტაპი

კრიტიკული ტენდერების დაჯგუფება CPV კლასიფიკატორის კოდებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით

| ინფორმაციის წყარო | მონაცემთა ერთიანი ბაზა | ინფორმაცია კრიტიკული დონის შემსყიდველ ორგანიზაციებზე |
|---|---|---|
| აქტივობა | შემსყიდველი ორგანიზაციების კრიტიკულობის დონის დადგენა |  მონიტორინგის რიგითობის დადგენა და ინფორმაციის გადაცემა მონიტორინგის დეპარტამენტზე |
| პროცესში ჩართული მხარეები | სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანალიტიკური სამსახური | SPA (ანალიტიკური სამსახური) → SPA (მონიტორინგის დეპარტამენტი) |

## III ეტაპი

კრიტიკული ტენდერების მონიტორინგი/ანალიზი
და დასკვნის შემუშავება

| ინფორმაციის წყარო | სატენდერო დოკუმენტაცია და სხვა დამხმარე მასალები ღია წყაროებიდან (საჯარო რეესტრი, შემოსავლების სამსახური, საკუპატენტი, შემსყიდველი ორგანიზაციების ოფიციალური ვებ-გვერდები) | დამუშავებული მონაცემები/დასრულებული ტენდერები | სპეციალური წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია |
|---|---|---|---|
| **აქტივობა** | | | |
| **პროცესში ჩართული მხარეები** | სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტი | SPA-ს მონიტორინგის დეპარტამენტი და ანალიტიკური სამსახური | ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური; „შსს“-ს ანტიკორუფციული სააგენტო; სახელმწიფო აუდიტის სამსახური. |

თემატურად, მეთოდოლოგია იყოფა შემდეგ თავებად:

- მე-2 თავში განხილულია შესაძლო არამართლზომიერი ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის:
  - 2.1 ქვეთავი აანალიზებს კონკრეტული მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭებას სატენდერო დოკუმენტაციის მეშვეობით, რაც გულისხმობს სატენდერო დოკუმენტაციის მიმწოდებელზე მორგებას კონკურენციის შემზღუდავი მოთხოვნებით;
  - 2.2 ქვეთავში აღწერილია, თუ როგორ უნდა იქნეს იდენტიფიცირებული შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან დისკვალიფიკაციის ბოროტად გამოყენება;
  - 2.3 ქვეთავის მიზანს წარმოადგენს, გამოავლინოს შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის საეჭვო კომბინაცია, იმ შეთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ტენდერს, მას შემდეგ, როდესაც მან ვერ მოახერხა კონკრეტული მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭება;
  - 2.4 ქვეთავში აღწერილია ანალიზის წარმართვის მეთოდოლოგია, იმ შემთხვევების გამოსავლენად, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია გამარჯვებულ მიმწოდებელს ანიჭებს უპირატესობას ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით;

- 2.5 ქვეთავი განიხილავს შემთხვევას, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია ცდილობს, მოიპოვოს უფლება, განახორციელოს შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით, კონკრეტულ მიმწოდებლთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით; აქვე განხილულია შემსყიდველი ორგანიზაციის შესაძლო ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია შესყიდვის ობიექტის ხელოვნურ დაყოფასთან;
- მე-3 თავი განიხილავს შეთანხმებულ ქმედებას მიმწოდებლებს შორის, ერთი მხრივ, კონკურენტულ ბაზრებზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ბაზრებზე, სადაც კონკურენციის ინტენსივობა დაბალია.

# თავი 2. შემსყიდველი – მიმწოდებელი

## 2.1 მორგებული სატენდერო დოკუმენტაცია

**ეტაპი 1:** ანალიზის საფუძველს წარმოადგენს BI სისტემიდან ამოღებული ყველა ჩატარებული ტენდერის ჩამონათვალი შემდეგი მონაცემებით:

- ტენდერის ნომერი;
- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- რეგიონის ამსახველი ცვლადი (მაგალითად, თბილისი – 1, აჭარა – 2 და ა.შ.);
- CPV კოდი;
- პრეტენდენტების რაოდენობა;
- ძირითად დროში სატენდერო წინადადების მაქსიმალური ფასის;
- მიმწოდებლის ვინაობა, რომელმაც ძირითად დროში წარადგინა სატენდერო წინადადების მაქსიმალური ფასი;
- გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ძირითად დროში წარდგენილი წინადადება;
- გამარჯვებული პრეტენდენტის ვინაობა;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- ხელშეკრულების ღირებულება;
- ტენდერში მიღწეული დანაზოგის პროცენტული მაჩვენებელი;
- სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობა.

<u>ამავდროულად, შემდეგი მონაცემები:</u>

- კონკურენციის საშუალო მაჩვენებელი საანალიზო CPV კოდებისა და რეგიონის ტენდერებში;
- საშუალო დანაზოგი საანალიზო CPV კოდისა და რეგიონის ტენდერებში;
- CPV კოდისა და რეგიონის ტენდერებში ვაჭრობის ძირითად დროში მიღწეული საშუალო დანაზოგი;

– საანალიზო CPV კოდსა და რეგიონში პრეტენდენტების რაოდენობასა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა შორის რეგრესიის ხაზის განტოლება;

პირველ ეტაპზე, იფილტრება საეჭვო ტენდერები, კონკრეტულ CPV კოდში საშუალო მაჩვენებლებისა და ტენდერში დაფიქსირებული მონაცემების შედარების და, ამავდროულად, ვაჭრობის ძირითად დროში პრეტენდენტების ქმედებათა გათვალისწინებით.

➢ ტენდერში არამართლზომიერი ქმედების ეჭვი მით უფრო მეტია[1]:

✓ რაც უფრო მეტად ჩამორჩება ტენდერში დაფიქსირებული კონკურენციის დონე CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს;
✓ რაც უფრო მეტად ჩამორჩება ტენდერში დაფიქსირებული დანაზოგი CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩნვენებელს;
✓ რაც უფრო უახლოვდება პრეტენდენტის მიერ ძირითად დროში წარდგენილი წინადადება სავარაუდო ღირებულებას;
✓ რეგრესიის ხაზიდან რაც უფრო დაბლაა მოქცეული ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობის კომბინაცია;

**ეტაპი 2:** მე-2 ეტაპზე ჯგუფდება საეჭვო ტენდერები CPV კოდებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით. ამავდროულად, საეჭვო ტენდერები დარდება ზოგად სტატისტიკასთან შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებებში უარყოფითი ტენდენციების გამოვლენის მიზნით[2].

ეტაპის მიზანს წარმოადგენს CPV კოდებისა და შესაბამისი რეგიონის მიხედვით შემსყიდველი ორგანიზაციების დაჯგუფება, მონაცემების სახით შემდეგი მაჩვენებლების მისაღებად (კონკრეტული CPV კოდების მიხედვით):

– კრიტიკული შემსყიდველი ორგანიზაციების ჩამონათვალი (პირველ ეტაპზე კრიტიკული ტენდერების ჩამონათვალის დაჯგუფების მიხედვით);
– შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რაოდენობა;

[1] წარმოსადგენია გარემოება, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია არგებს დოკუმენტაციას, ადგენს გადამეტებულ სავარაუდო ღირებულებას და, ამავდროულად, ტენდერში მონაწილეობას იღებს რამდენიმე შეთანხმებული (ერთმანეთთან ფიქციურად მოვაჭრე) პრეტენდენტი. ასეთი შემთხვევის (პირველ დონეზე) გამოსავლენად საჭირო ინდიკატორს მხოლოდ ერთეულის ფასი წარმოადგენს. ამიტომ, სამუშაო ჯგუფის აზრით, სასურველია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სტანდარტიზირებული პროდუქტებისათვის განზომილების ერთეულების ინტეგრირება და, შესაბამისად, BI ანგარიშებში ასახვა, რაც გაცილებით გააადვილებს ანალიზს.

[2] უნდა აღინიშნოს, რომ იგივე სქემით შესაძლებელია დადებითი ტენდენციების გამოვლენაც.

- შემსყიდველი ორგანიზაციის ჩატარებული ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება;
- კონკურენციის საშუალო დონე მოყვანილი შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის;
- შემსყიდველი ორგანიზაციის საშუალო პროცენტული დანაზოგი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რა პროცენტულ ნაწილში ღებულობს მონაწილეობას მხოლოდ ერთი პრეტენდენტი;
- ჩატარებული ტენდერების რა პროცენტულ ნაწილშია კონკურენციის დონე CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე ნაკლები;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რა პროცენტულ ნაწილში გხვდება დანაზოგი, რომელიც ნაკლებია CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელთან;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რა ნაწილში ხდება ძირითად დროში უახლოვდება ან უტოლდება წინადადების ფასი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რა ნაწილშია ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობის კომბინაცია მოქცეული სექტორის ანალოგიურ ცვლადებს შორის გავლებული რეგრესიის ხაზის ქვევით;
- უფრო დეტალური ანალიზისათვის: ზემოთ აღწერილი ყველა ინდიკატორი შემსყიდველი ორგანიზაციის ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე დაბალ და საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე მაღალ ტენდერებში.

➢ შემსყიდველი ორგანიზაციის არამართლზომიერი ქმედებების ალბათობა მით უფრო მეტია:

- ✓ რაც უფრო მეტად ჩამორჩება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღწეული კონკურენციის საშუალო დონე საანალიზო რეგიონში CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს;
- ✓ რაც უფრო მეტია ჩატარებულ ტენდერებში იმ ტენდერების პროცენტული წილი, სადაც კონკურენციის დონე ნაკლებია, ვიდრე საანალიზო რეგიონის CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე;
- ✓ ჩატარებული ტენდერების რაც უფრო მეტ პროცენტულ ნაწილში ჰყავდა შემსყიდველ ორგანიზაციას მხოლოდ ერთი პრეტენდენტი;
- ✓ რაც უფრო მეტია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, სადაც გამარჯვებულია კონკრეტული პრეტენდენტი;
- ✓ რაც უფრო მეტად ჩამორჩება მის მიერ მიღწეული პროცენტული დანაზოგი საანალიზო რეგიონის CPV კოდის საშუალო მაჩვენებელს;

- ✓ ჩატერებული ტენდერების რაც უფრო მეტ პროცენტულ ნაწილშია დანაზოგის დონე ნაკლები, ვიდრე საანალიზო რეგიონის CPV კოდის საშუალო მაჩვენებელი;
- ✓ რაც უფრო მეტია ჩატარებულ ტენდერებში იმ ტენდერების პროცენტული წილი, სადაც პრეტენდენტმა ძირითად დროში გაუტოლა წინადადება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას;
- ✓ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რაც უფრო მეტ პროცენტულ ნაწილშია ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობის კომბინაცია მოქცეული სექტორისა და საანალიზო რეგიონის ანალოგიურ ცვლადებს შორის გავლებული რეგრესიის ხაზს ქვევით;
- ✓ ზემოთ აღწერილი ყველა ინდიკატორი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საანალიზო CPV კოდში საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე დაბალ და საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე მაღალ ტენდერებში.

შემდგომ, **მე-3 ეტაპს** კრიტიკული შემსყიდველის საეჭვო ტენდერების დეტალური მონიტორინგი წარმოადგენს:

- ➢ მონიტორინგის პროცესში ყურადღება საჭიროა გამახვილდეს შემდეგზე:

- ხომ არ არის შესყიდვის ობიექტი აღწერილი არანეიტრალურად? ხომ არ არის დოკუმენტაცია მორგებული კონკრეტული მიმწოდებლის შესაძლებლობებზე, ასორტიმენტზე და ა.შ.?
- ხომ არ არის შესყიდვის ობიექტი, ერთი შეხედვით, აღწერილი ბუნდოვნად, რაც წარმოქმნის გაუგებრობას მიმწოდებლებში, წარმოქმნის მიმწოდებლებში დამატებით შეკითხვებზე პასუხის გაცემის საჭიროებას და აფერხებს ტენდერში მონაწილეობის მიღებას?
- ხომ არ დაისვა სისტემაში შეკითხვები შესყიდვებში მონაწილეობის მსურველებისა და პრეტენდენტების მხრიდან?
- ხომ არ მიუთითებენ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველების ან პრეტენდენტების შეკითხვები ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხები რაიმე საეჭვო გარემოებაზე?
- როგორ აღწერს შემსყიდველი ორგანიზაცია იმავე შესყიდვის ობიექტს იმ ტენდერში, სადაც დაფიქსირდა კონკურენციის შედარებით მაღალი დონე? რა არის განსხვავება?
- ხომ არ ითხოვდა შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებას არაადეკვატურ ვადაში?
- ხომ არ აერთიანებს შემსყიდველი ორგანიზაცია ერთ ტენდერში შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს, რომელთა წარმოება/მიწოდება რთულად წარმოსადგენია ერთი კომპანიის მიერ (კომპანიების სპეციალიზირება)?

- რამდენად შესაძლებელია სატენდერო წინადადების შემუშავება წინადადების მიღების დასრულების ვადის ამოწურვამდე?
- ხომ არ სთავაზობს შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებელს არაადეკვატური გადახდის პირობებს (მაგალითად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან რამდენიმე თვის განმავლობაში)?
- ხომ არ ითხოვდა შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის ისეთ გამოცდილებას, რომელიც არაადეკვატურია აღნიშნულ დაკვეთასთან მიმართებით?
- ვინ შეიძლება წარმოადგენდეს, ერთი შეხედვით, საეჭვო, შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებულ მიმწოდებელს?
- ხომ არ აფორმებს შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულებებს ერთსა და იმავე მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით? ხომ არ ფიგურირებს აღნიშნული მიმწოდებელი საანალიზო ტენდერში?
- როგორია კონკურენციის დონე და დანაზოგი, როდესაც ტენდერში მონაწილეობას ღებულობს და არ ღებულობს, ერთი შეხედვით, საეჭვო მიმწოდებელი? რა განსხვავებაა სატენდერო დოკუმენტაციებს შორის?
- ხომ არ ფიქსირდება მიმწოდებლის საეჭვო ქმედება მხოლოდ კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაციის ტენდერებში? როგორ იქცევა მიმწოდებელი სხვა შემსყიდველი ორგანიზაციის ტენდერებში? ხომ არ შეიმჩნევა განსხვავება მის ქმედებაში?
- ხომ არ იყო საეჭვო მიმწოდებლის ან შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ შემოსული ანალოგიური საქმე დავების განხილვის საბჭოში?
- მაღალი ეჭვის შემთხვევაში, საჭიროა გადამოწმდეს ერთეულის ფასი;
- ხელშეკრულების ცვლილების შემთხვევაში, იხილეთ სქემა ხელშეკრულების ცვლილება კონკრეტულ მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით.

## 2.2 დისკვალიფიკაციის ბოროტად გამოყენება

დისკვალიფიკაციის ბოროტად გამოყენება გულისხმობს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას შეთანხმებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. სავარაუდოდ, შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც შეეცდება ბოროტად გამოიყენოს დისკვალიფიკაცია, ეცდება აღნიშნულის შესაძლებლობა შეიქმნას სატენდერო დოკუმენტაციის მეშვეობით, პირველ ყოვლისა, დოკუმენტაციის ბუნდოვნად ჩამოყალიბებითა და განსხვავებული ინტერპრეტაციის დაშვების საშუალებით.

**ეტაპი 1:** ანალიზის საფუძველს წარმოადგენს BI სისტემიდან გენერირებული ანგარიში, სადაც ასახულია ყველა ის ტენდერი, რომელშიც განხორციელდა დისკვალიფიკაცია, შემდეგ დამატებით ინფორმაციასთან ერთად:

– ტენდერის ნომერი;

- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- რეგიონის ამსახველი ცვლადი (მაგალითად, თბილისი – 1, აჭარა – 2 და ა.შ.);
- CPV კოდი;
- პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერში;
- ტენდერში დისკვალიფიკაციათა რაოდენობა;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- ხელშეკრულების ღირებულება;
- ძირითად დროში სატენდერო წინადადების მაქსიმალური ფასი;
- გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასი ძირითად დროში;
- პრეტენდენტის ვინაობა, რომელმაც ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა ან მიუახლოვა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;
- გამარჯვებული პრეტენდენტის ვინაობა;
- ტენდერში მიღწეული პროცენტული დანაზოგი.

<u>ამავდროულად:</u>

- დისკვალიფიკაციის საშუალო მაჩვენებელი საანალიზო რეგიონის CPV კოდში (მაგალითად, ტენდერში, საშუალოდ, 0,3 დისკვალიფიცირებული პრეტენდენტი);
- კონკურენციის საშუალო მაჩვენებელი საანალიზო CPV კოდისა და რეგიონის ტენდერებში;
- CPV კოდსა და შესაბამის რეგიონში საშუალო დანაზოგი;
- კონკრეტული რეგიონის CPV კოდში პრეტენდენტების რაოდენობასა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა შორის რეგრესიის ხაზის განტოლება.

➢ ტენდერში არამართლზომიერი ქმედების ეჭვი მით უფრო მეტია:

✓ რაც უფრო მეტად ჩამორჩება ტენდერის შედეგად მიღებული დანაზოგი საანალიზო რეგიონის CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს;
✓ რაც უფრო ნაკლებია ტენდერში დაფიქსირებული კონკურენციის დონე საანალიზო რეგიონის CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს (იქიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტაცია შედგენილია, სავარაუდოდ, ბუნდოვნად);
✓ თუ პრეტენდენტთა რაოდენობასა და დისკვალიფიცირებულთა რაოდენობას შორის სხვაობა უდრის ერთს;
✓ რაც უფრო მეტ დანაზოგს მიაღწევდა შემსყიდველი ორგანიზაცია ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტისათვის დისკვალიფიკაციის მიუცემლობის შემთხვევაში;
✓ რეგრესიის ხაზიდან რაც უფრო დაბლაა მოქცეული ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობის კომბინაცია.

**ეტაპი 2:** ეტაპის მიზანია CPV კოდებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების დაჯგუფება, სვეტებში შემდეგი მაჩვენებლების მიღებისათვის (ქვემოთ მოყვანილი ყველა ინდიკატორი გულისხმობს კონკრეტულ CPV კოდს):

- კრიტიკული შემსყიდველი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რაოდენობა;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება;
- შემსყიდველი ორგანიზაციის საშუალო დანაზოგი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ რეგიონის CPV კოდში საშუალო დისკვალიფიკაციის მაჩვენებელი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის საშუალო დანაზოგი იმ ტენდერებში, სადაც ვხვდებით დისკვალიფიკაციას;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ CPV კოდში ჩატარებული (დისკვალიფიკაციის მქონე) ტენდერების რა ნაწილში უტოლდება ან უახლოვდება სატენდერო წინადადების ფასი შესყიდვის სავადაუდო ღირებულებას ვაჭრობის ძირითად დროში;
- ჩატარებული ტენდერების რა პროცენტულ ნაწილში ვხვდებით დისკვალიფიკაციის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც მეტია, ვიდრე რეგიონის CPV კოდის ანალოგიური საშუალო მაჩვენებელი;
- დისკვალიფიკაციის სტატისტიკა დისკვალიფიკაციის მიზეზების მიხედვით;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რა ნაწილშია ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობის კომბინაცია მოქცეული სექტორისა და რეგიონის ანალოგიურ ცვლადებს შორის გავლებული რეგრესიის ხაზს ქვევით;
- ანალოგიური სტატისტიკა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე დაბალ და საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე მაღალ ტენდერებში.

➢ შემსყიდველის მიერ დისკვალიფიკაციის ბოროტად გამოყენების ალბათობა მით უფრო მეტია:

✓ რაც უფრო მეტია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული დისკვალიფიკაციების საშუალო მაჩვენებელი;
✓ ჩატარებული ტენდერების რაც უფრო მეტ პროცენტულ ნაწილში გვხვდება დისკვალიფიკაცია;
✓ რაც უფრო მეტად ჩამორჩება შემსყიდველის მიერ მიღწეული დანაზოგი (დისკვალიფიკაციის მქონე ტენდერებში) CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს;

- ✓ რაც უფრო მეტად ჩამორჩება შემსყიდველის მიერ მიღწეული დანაზოგი (დისკვალიფიკაციის მქონე ტენდერებში) იმავე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს;
- ✓ კრიტიკული ტენდერების რაც უფრო მეტ პროცენტულ ნაწილში ნაკლებია დანაზოგის დონე, ვიდრე CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელი;
- ✓ რაც უფრო მეტია კრიტიკულ ტენდერებში იმ ტენდერების პროცენტული წილი, სადაც პრეტენდენტმა ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;
- ✓ რაც უფრო მეტია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, სადაც გამარჯვებულია კონკრეტული პრეტენდენტი;
- ✓ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რაც უფრო მეტ პროცენტულ ნაწილშია ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობის კომბინაცია მოქცეული სექტორის ანალოგიურ ცვლადებს შორის გავლებული რეგრესიის ხაზის ქვევით;
- ✓ ზემოთ აღწერილი ყველა ინდიკატორი შემსყიდველის მიერ საანალიზო CPV კოდში საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე დაბალ და საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე მაღალ ტენდერებში.

➢ **ეტაპი 3:** კრიტიკული შემსყიდველის კრიტიკული ტენდერების დეტალური მონიტორინგი.

საეჭვო ტენდერების მონიტორინგის დროს უნდა გადამოწმდეს:

- რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული სატენდერო დოკუმეტაცია? იძლევა თუ არა დოკუმენტაცია განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას?
- რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული დისკვალიფიკაციის მიზეზი და სამართლებრივი საფუძველი შესაბამის ოქმში?
- შეესაბამება თუ არა სისტემასა და ოქმში მითითებული დისკვალიფიკაციის საფუძვლები ერთმანეთს?
- ხომ არ არის შემოსული დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მხრიდან საჩივარი დავების განხილვის საბჭოში?
- ხომ არ აფორმებს შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულებებს ერთსა და იმავე მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით? ხომ არ ფიგურირებს აღნიშნული მიმწოდებელი საანალიზო ტენდერში?

## 2.3 კონკრეტული მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭების მცდელობა, მცდელობის შეუძლებლობა და ტენდერის შეწყვეტა (შეწყვეტილი ტენდერების მონიტორინგი)

**ეტაპი 1:** ანალიზის საფუძველს წარმოადგენს BI სიტემის მეშვეობით გენერირებულიანგარიში, რომელშიც ასახულია ყველა ის ტენდერი, სადაც განხორციელდა ტენდერის შეწყვეტა და, ამავდროულად, შემდეგი დამატებით ინფორმაცია:

- ტენდერის ნომერი, რომელიც შეწყდა;
- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- CPV კოდი;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- შეწყვიტა თუ არა შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტენდერი ვაჭრობის ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ (ანგარიშში: კი ან არა);
- პრეტენდენტების რაოდენობა შეწყვეტილ ტენდერში;
- ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების მაქსიმალური ფასი;
- პრეტენდენტის ვინაობა, რომელმაც ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა ან მიუახლოვა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;

<u>ამავდროულად:</u>

- შეწყვეტილი ტენდერების წილი CPV კოდის მქონე ყველა გამოცხადებულ ტენდერში.

➢ ტენდერში არამართლზომიერი ქმედების ეჭვი მით უფრო მეტია:

✓ რაც უფრო მეტია პრეტენდენტების რაოდენობა შეწყვეტილ ტენდერში;
✓ თუ რომელიმე პრეტენდენტმა ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;
✓ რაც უფრო მეტია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება.

**ეტაპი 2:** საეჭვო ტენდერების დაჯგუფება CPV ჯგუფებისა და კრიტიკული შემსყიდველების მიხედვით:

- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონკრეტული CPV კოდის ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერებში შეწყვეტილი ტენდერების წილი;
- გამოცხადებული ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება;

- შეწყვეტილი ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება;
- შეწყვეტილ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, რომლებიც შეწყდა ვაჭრობის ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ;
- შეწყვეტილ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, რომლებშიც მონაწილეობდა ერთზე მეტი პრეტენდენტი;
- შეწყვეტილ ტენდერებში, რომლებშიც იყო ერზე მეტი პრეტენდენი, იმ ტენდერების წილი, რომლებშიც რომელიმე პრეტენდენტმა ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.

შემსყიდველი ორგანიზაციისთვის სასურველი მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭების მცდელობა ან მცდელობის შეუძლებლობა და ამის გამო ტენდერის შეწყვეტის ალბათობა მით უფრო მეტია:

- ✓ რაც უფრო ჭარბობს გამოცხადებულ ტენდერებში შეწყვეტილი ტენდერების წილი;
- ✓ შეწყვეტილ ტენდერებში რაც უფრო მეტია იმ ტენდერების წილი, რომლებიც შეწყდა ვაჭრობის ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ;
- ✓ რაც უფრო აღემატება შეწყვეტილი ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება გამოცხადებული ტენდერების ანალოგიურ მაჩვენებელს;
- ✓ რაც უფრო მეტია შეწყვეტილ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, რომლებშიც გვყავდა ერთზე მეტი პრეტენდენტი;
- ✓ რაც უფრო მეტია ვაჭრობის ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ შეწყვეტილ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, რომლებშიც პრეტენდენტმა სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა ან მიუახლოვა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;
- ✓ ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საანალიზო CPV კოდში საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე დაბალ და საშუალო სავარაუდო ღირებულებაზე მაღალ ტენდერებში.

**ეტაპი 3:** შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეწყვეტილი ტენდერების მონიტორინგი.

მონიტორინგის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

- რამდენად გასაგებია ტენდერის შეწყვეტის მიზეზი?
- შეეძლო თუ არა შემსყიდველ ორგანიზაციას, მიეცა დისკვალიფიკაცია ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტისათვის (ხომ არ ჩნდება ეჭვი, რომ ტენდერის შეწყვეტის მიზეზი გახდა ის, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ აძლევდა დისკვალიფიკაციას დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტებს)? ხომ არ გამეორდა

ტენდერი და მასში გამარჯვებულად გამოვლინდა შეწყვეტილ ტენდერში მაღალი ფასით მონაწილე პრეტენდენტი?

- განმეორებით გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო დოკუმენტაცია ხომ არ შეცვლილა იმგვარად, რომ ისეთ ცვლილებას შესაძლებელია გამოეწვია გამეორებულ ტენდერში მონაწილეთა ოდენობის ხელოვნურად შემცირება?
- როგორ მოიქცა განმეორებით გამოცხადებულ ტენდერში ის პრეტენდენტი, რომელიც შეწყვეტილ ტენდერში მონაწილეობდა მაღალი ფასით?
- ხომ არ აფორმებს შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულებებს ერთსა და იმავე მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით? ხომ არ ფიგურირებს აღნიშნული მიმწოდებელი საანალიზო ტენდერში?
- ვინ არის საეჭვო პრეტენდენტი და ხომ არ ფიქსირდება მისი მხრიდან საეჭვო ქმედება სხვა შემსყიდველ ორგანიზაციებთან (დადებითი პასუხის შემთხვევაში ეჭვის დონე იზრდება მაშინ, როდესაც საეჭვო შემსყიდველები არიან მოქცეულნი ერთ რეგიონში)?
- ხომ არ გვხვდება საეჭვო შემსყიდველი ორგანიზაციის ანალოგიური ქმედება სხვა CPV კოდებზე გამოცხადებულ ტენდერებში?

## 2.4 დადებული ხელშეკრულების ცვლილება კონკრეტული მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით

**ეტაპი 1:** სქემის ანალიზის საფუძველს წარმოადგენს BI სისტემის მეშვეობით გენერირებული ანგარიში, სადაც ასახულია ყველა ის ტენდერი, რომლის შედეგად დადებულ ხელშეკრულებებშიც შეტანილ იქნა ცვლილებები. ამავდროულად, საჭიროა შემდეგი დამატებით ინფორმაცია:

- ტენდერის ნომერი, რომელშიც განხორციელდა ხელშეკრულების ცვლილება;
- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- CPV კოდი;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- ხელშეკრულების ღირებულება;
- ტენდერში მიღწეული პროცენტული დანაზოგი;
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობა;
- ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭების თარიღი;
- ხელშეკრულების ცვლილების თარიღი;
- ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების მაქსიმალური ფასი;
- პრეტენდენტის ვინაობა, რომელმაც ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა ან მიუახლოვა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;

- გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ვაჭრობის ძირითად დროში წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი;
- გამარჯვებული პრეტენდენტის ვინაობა.

<u>ამავდროულად</u>

- CPV კოდის მთლიან ტენდერებში იმ ტენდერების წილი, რომლებშიც განხორციელდა ხელშეკრულებების ცვლილება;
- CPV კოდში საშუალო კონკურენციის დონე;
- CPV კოდში საშუალო დანაზოგის დონე;
- საანალიზო CPV კოდში პრეტენდენტების რაოდენობასა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა შორის რეგრესიის ხაზის განტოლება.

➢ ტენდერში არამართლზომიერი ქმედების ეჭვი მით უფრო მეტია:

✓ რაც უფრო ნაკლებია კონკურენციის დონე;
✓ რაც უფრო ნაკლებია დანაზოგის დონე;
✓ რეგრესიის ხაზიდან რაც უფრო დაბლაა მოქცეული ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობის კომბინაცია;

**ეტაპი 2:** საეჭვო ტენდერების დაჯგუფება CPV კოდებისა და კრიტიკული შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით (სვეტებში შემდეგი ინფორმაციის მიღებისათვის):

- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- ხელშეკრულებადადებულ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, რომლებშიც შეიცვალა ხელშეკრულება;
- ხელშეკრულებადადებულ ტენდერებში საშუალო სავარაუდო ღირებულება;
- იმ ტენდერების, რომლებშიც შეიცვალა ხელშეკრულება, საშუალო სავარაუდო ღირებულება;
- ხელშეკრულებადადებულ ტენდერებში საშუალო კონკურენციის დონე;
- საშუალო კონკურენციის დონე იმ ტენდერებში, რომლებშიცშეიცვალა ხელშეკრულება;
- შემსყიდველის საშუალო დანაზოგი ხელშეკრულებადადებულ ტენდერებში;
- დანაზოგი იმ ტენდერებში, რომლებშიც შეიცვალა ხელშეკრულება;
- იმ ტენდერების წილი, რომლებშიც შეიცვალა ხელშეკრულება და, იმავდროულად, პრეტენდენტმა ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;
- შემსყიდველის მიერ ჩატარებული ტენდერების რა ნაწილშია ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის

ნახვათა ოდენობის კომბინაცია მოქცეული სექტორის ანალოგიურ ცვლადებს შორის გავლებული რეგრესიის ხაზის ქვევით;

- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონკრეტული მიმწოდებლისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით ხელშეკრულების ცვლილების ალბათობა მით უფრო მეტია:

- ✓ რაც უფრო ჭარბობს ხელშეკრულებადადებილ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, რომლებშიც შეიცვალა ხელშეკრულება;
- ✓ რაც უფრო მეტად აღემატება ხელშეკრულების ცვლილების მქონე ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება ხელშეკრულებადადებული ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულებას;
- ✓ რაც უფრო ნაკლებია ხელშეკრულების ცვლილების მქონე ტენდერებში კონკურენციის საშუალო დონე ხელშეკრულებადადებულ ტენდერებში საშუალო კონკურენციის დონეზე;
- ✓ რაც უფრო ნაკლებია ხელშეკრულების ცვლილების მქონე ტენდერებში საშუალო დანაზოგის დონე ხელშეკრულებადადებულ ტენდერებში საშუალო დანაზოგის დონეზე;
- ✓ რაც უფრო მეტია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იმ ტენდერების წილი, რომლებშიც გამარჯვებულია კონკრეტული პრეტენდენტი;
- ✓ რაც უფრო მეტია იმ ტენდერების წილი, რომლებშიც ვაჭრობის ძირითად დროში რომელიმე პრეტენდენტმა სატენდერო წინადადების ფასი გაუტოლა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას, იმ ტენდერებში, რომლებშიც შეიცვალახელშეკრულება;
- ✓ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტენდერების რაც უფრო მეტ პროცენტულ ნაწილშია ტენდერში დაფიქსირებული პრეტენდენტების რაოდენობისა და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვათა ოდენობის კომბინაცია მოქცეული სექტორის ანალოგიურ ცვლადებს შორის გავლებული რეგრესიის ხაზის ქვევით;

**ეტაპი 3:** საეჭვო შემსყიდველი ორგანიზაციისს შეწყვეტილი ტენდერების მონიტორინგი.

მონიტორინგის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

- რამდენად ადეკვატურ პირობებს ითხოვდა შემსყიდველი სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პროექტით?
- ხომ არ ცვლის შემსყიდველი ხელშეკრულების ისეთ პირობას, რის გამოც გამარჯვებულ პრეტენდენტს შესაძლებელია მიენიჭოს გარკვეული უპირატესობა სხვა პრეტენდენტთან შედარებით?
- მიწოდების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, რამდენი პროცენტით იქნა გაზრდილი მიწოდების ვადა?

- რამდენად ადეკვატურად არის კალკულირებული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება? ხომ არ აღემატება შესყიდვის ობიექტის რეალური ღირებულება სავარაუდო ღირებულებას? თუ კი, დაახლოებით, რამდენი პროცენტით?
- რამდენად მარტივია ხელშეკრულების ცვლილების იდენტიფიცირება სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციიდან?
- რამდენი პროცენტით შეიცვალა საწყისი ხელშეკრულების კონკრეტული პირობა (გარდა მიწოდების ვადისა და ღირებულებისა)? არსებითად ხომ არ შეიცვალა ხელშეკრულება (ტექნიკური მოთხოვნები)?
- რამდენად ადეკვატურია ხელშეკრულების ცვლილების აუცილებლობის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება?
- ხომ არ ახდენს შემსყიდველი ხელშეკრულების ცვლილებას მხოლოდ კონკრეტულ მიმწოდებლებთან მიმართებაში?
- ხომ არ აფორმებს შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულებებს ერთსა და იმავე მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით? ხომ არ ფიგურირებს აღნიშნული მიმწოდებელი საანალიზო ტენდერში?

## 2.5 მცდელობა შემსყიდველის მხრიდან, მოიპოვოს კანონით მინიჭებული უფლება, განახორციელოს შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (კონკრეტულ მიმწოდებლთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით) – არშემდგარი ტენდერები

**ეტაპი 1:** ანალიზის საფუძველს წარმოადგენს BI სისტემის მეშვეობით გენერირებული ანგარიში, სადაც ასახულია ყველა არ შემდგარი და შეწყვეტილი ტენდერი შემდეგ დამატებით ინფორმაციასთან ერთად:

- არშემდგარი ტენდერის ნომერი;
- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- რეგიონის ამსახველი ცვლადი (მაგალითად, თბილისი – 1, აჭარა – 2 და ა.შ.);
- CPV კოდი;
- სავარაუდო ღირებულება.

<u>ამავდროულად:</u>

- რეგიონის CPV კოდზე გამოცხადებულ ტენდერებში არშემდგარი ტენდერების წილი;
- რეგიონის CPV კოდში საშუალო კონკურენციის დონე;
- რეგიონის CPV კოდის მსგავსი სავარაუდო ღირებულების მქონე ტენდერებში საშუალო კონკურენციის დონე;

➢ ტენდერში არამართლზომიერი ქმედების ეჭვი მით უფრო მეტია:

- ✓ რაც უფრო მეტია რეგიონის CPV კოდში საშუალო კონკურენციის დონე (მთლიანად და მასგავსი სავარაუდო ღირებულების ტენდერებში);
- ✓ რაც უფრო ნაკლებია CPV კოდში გამოცხადებულ ტენდერებში არშემდგარი ტენდერების წილი;

**ეტაპი 2:** საეჭვო ტენდერების დაჯგუფება კრიტიკული შემსყიდველები ორგანიზაციების მიხედვით.

- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- გამოცხადებულ ტენდერებში არშემდგარი ტენდერების წილი;
- ხელშეკრულებადადებული ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება;
- არშემდგარი ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება;

➢ ალბათობა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია ცდილობდეს, მოიპოვოს კანონით მინიჭებული უფლება, განახორციელოს შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით (კონკრეტულ მიმწოდებლთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით) უფრო მეტია:

- ✓ რაც უფრო დიდია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონკრეტულ CPV კოდზე გამოცხადებულ ტენდერებში არშემდგარი ტენდერების წილი;
- ✓ რაც უფრო უახლოვდება არშემდგარი ტენდერების საშუალო სავარაუდო ღირებულება შედარებით მაღალი კონკურენციის დონის მქონე ტენდერების სავარაუდო ღირებულებას.

**ეტაპი 3:** საეჭვო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული არშემდგარი ტენდერების მონიტორინგი.

- ხომ არ არის შესყიდვის ობიექტი, ერთი შეხედვით, აღწერილი ბუნდოვნად, რაც წარმოქმნის გაუგებრობას მიმწოდებლებს შორის და აფერხებს ტენდერში მონაწილეობის მიღებას?
- როგორ აღწერს შემსყიდველი ორგანიზაცია იმავე შესყიდვის ობიექტს (საჭიროებას) იმ ტენდერში, სადაც დაფიქსირდა კონკურენციის ნულისგან განსხვავებული დონე? რით ვლინდება განსხვავება?
- ხომ არ დაისვა სისტემაში შეკითხვები შესყიდვებში მონაწილეობის მსრუველების ან პრეტენდენტების მხრიდან? ხომ არ მიუთითებენ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველების ან პრეტენდენტების შეკითხვები ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხები რაიმე საეჭვო გარემოებაზე?
- ხომ არ ითხოვდა შემსყიდველი ორგანიზაცია ობიექტის მიწოდებას არაადეკვატურ ვადაში?

- ხომ არ აერთიანებს შემსყიდველი ორგანიზაცია ერთ ტენდერში შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს, რომელთა წარმოება/მიწოდება რთულად წარმოსადგენია ერთი კომპანიის მიერ (კომპანიების სპეციალიზირება)?
- რამდენად ადეკვატურია სატენდერო წინადადების შემუშავება წინადადების მიღების დასრულების ვადამდე?
- ხომ არ სთავაზობს შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებელს არაადეკვატური გადახდის პირობებს (მაგალითად, რამდენიმე თვის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან)?
- ხომ არ ითხოვდა შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის ისეთ გამოცდილებას, რომელიც არაადეკვატურია აღნიშნულ დაკვეთასთან მიმართებით?
- რომელ მიმწოდებლებთან დებს შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულებებს გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში?

## თავი 3. მიმწოდებელი – მიმწოდებელი

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილი მსჯელობა ეხება მიმწოდებელთა შორის შეთანხმებული ქმედების იდენტიფიცირებას. მსჯელობაში ხორციელდება დაშვება, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია კეთილსინდისიერია და ტენდერი ხელს უწყობს მიმწოდებელთა შორის კონკურენციას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელთა შორის შეთანხმების[3] შესწავლა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სააგენტოს დებულების თანახმად, არ წარმოადგენს სააგენტოს ფუნქციას, თუმცა სააგენტო სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების მონიტორინგისას დააკვირდება აღნიშნულ საკითხს.

მიმწოდებელთა შეთანხმების იდენტიფიცირების მეთოდებზე ყურადღების გამახვილებამდე, საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ, ერთი მხრივ, მიმწოდებელთა შეთანხმება კონკურენტულ, ხოლო, მეორე მხრივ, ოლიგოპოლისტური, ან მსგავსი სტრუქტურის მქონე ბაზარზე. როგორც წესი, მიმწოდებელთა ქმედება განსხვავდება სხვადასხვა სტრუქტურის მქონე მიწოდების ბაზრებზე. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლები გარიგდნენ კონკურენტულ ბაზარზე, შესაძლებელია, რომ მიმწოდებლებს შორის შეთანხმების ინდიკატორები აღმოჩენილ იქნეს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპზე. ამისგან განსხვავებით, ოლიგოპოლისტურ ბაზრებზე ნაკლებად სავარაუდოა, მიმწოდებლები შეთანხმდნენ ტენდერის მიმდინარეობისას. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებელთა შეთანხმების შესახებ

[3] პოტენციურ მიმწოდებელთა შეთანხმებული ქმედება, რაც ლიტერატურაში ცნობილია “bid rigging”-ის სახელწოდებით. იგი მიზნად ისახავს კონკურენციის ხელოვნურად გაუარესებასა და შეთანხმების მონაწილე პრეტენდენტების მიერ ტენდერში გამარჯვების მიღწევას, ამავდროულად, შესყიდვის ობიექტის მიწოდებას კონკურენტულ გარემოსთან შედარებით უარესი პირობებით (გაზრდილი ფასით ან/და გაუარესებული ხარისხით).

ეჭვი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მიმწოდებელთა ქმედებებში ბაზრის დანაწილების ნიშან-თვისებების აღმოჩენით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელთა შორის შესაძლო გარიგების ეჭვის შესწავლამდე, პირველ ყოვლისა, საჭიროა დადგინდეს შესაბამისი მიწოდების ბაზრის სტრუქტურა, რაც, თავისთავად, საჭიროებს შესაბამისი ბაზრის სასაქონლო და გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრას, პოტენციური მიმწოდებლების ვინაობის დადგენას. შესაბამისი ბაზრის სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და ბაზრის სტრუქტურის შესახებ დასკვნის გაკეთების შემდეგ, შესაძლებელია გაანალიზდეს მიმწოდბელთა ქმედება შესაბამისი ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებით, ქვემოთ, შესაბამის თავებში აღწერილი მეთოდების გამოყენებით.

## 3.1 შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენა

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა გულისხმობს სასაქონლო და გეოგრაფიული საზღვრების დადგენას. წინამდებარე მეთოდოლოგიაში, სიმარტივის მიზნით, ხორციელდება დაშვება, რომ იდენტური CPV კოდის (რაც შეიძლება დაბალი იერაქიული დონე) მქონე შესყიდვის ობიექტები განეკუთვნება ერთსა და იმავე შესაბამის სასაქონლო ბაზარს[4]. აქიდან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრის სტრუქტურის დადგენა გულისხმობს CPV კოდებისა და შესყიდვის მოცულობების შესაბამისად იმ მიმწოდებელთა ვინაობისა და მათი მიახლოებითი ბაზრის წილების დაგენას, რომელთაც წარსულში განუხორციელებიათ საანალიზო CPV კოდის შესყიდვის ობიექტების მიწოდება რეგიონის შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის.

**ეტაპი 1:** ანალიზის საფუძველს წარმოადგენს BI სისტემის მეშვეობით გენერირებული ანგარიში, რომელშიც ასახულია ჩატარებული ტენდერების და განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ამსახველი შემდეგი მონაცემები:

- ტენდერის/ხელშეკრულების სისტემის CMR მოდულში რეგისტრაციის უნიკალური ნომერი;
- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- რეგიონის ამსახველი ცვლადი (მაგალითად, თბილისი – 1, აჭარა – 2 და ა.შ.);
- CPV კოდი;
- CPV კოდის კლასს (CPV კოდის პირველი ხუთი რიცხვი);
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების ვინაობა;
- მიმწოდებლის (რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება) ვინაობა;

[4] შესაბამისად, მეთოდოლოგიაში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი სასაქონლო ბაზრის იდენტიფიცირებისათვის კონკურენციის პოლიტიკის სფეროში აპრობირებული მეთოდების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, პოტენციური მომხმარებლების აზრის გამოკითხვა შესყიდვის ობიექტების ურთიერთჩანაცვლების შესახებ ე. წ. SSNIP ტესტის გამოყენებით.

- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- ხელშეკრულების ღირებულება.

**ეტაპი 2:** ეტაპის მიზანია, შესაბამისი ბაზრის სტრუქტურისა და ბაზრის კონცენტრაციის დონის დადგენისათვის, სათანადოდ დაჯგუფდნენ რეგიონის შემსყიდველი ორგანიზაციები და საანალიზო შესყიდვის ობიექტის პოტენციური მიმწოდებლები.

➢ შესაბამისი ბაზრის სტრუქტურა მით უფრო უახლოვდება ოლიგოპოლიურს:

✓ რაც უფრო ნაკლები მიმწოდებელი ახორციელებს შესაბამისი CPV კოდისა და მოცულობის საანალიზო შესყიდვის ობიექტის მიწოდებას რეგიონის შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის;
✓ რაც უფრო ნაკლები მიმწოდებელია ჩართული რეგიონში შესყიდვის ობიექტის მნიშვნელოვანი წილის რეალიზებაში (ბაზრის კონცენტრაცია)[5].

## 3.2 მიმწოდებელთა გარიგება ოლიგოპოლისტურ ბაზარზე

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიმწოდებელთა შორის შეთანხმებული ქმედების ეჭვი ოლიგოპოლისტური ან მსგავსი სტრუქტურის ბაზრებზე შესაძლებელია აღმოჩენილ იქნეს ბაზრის დანაწილების ნიშან-თვისებების აღმოჩენით. მონიტორინგის პროცესის მსვლელობისას დასმული კითხვები და კითხვებზე გაცემული პასუხები გულისხმობს სწორედ ბაზრის განაწილების იმ კრიტერიუმის იდენტიფიცირებას, რომელიც, სავარაუდოდ, გამოიყენება შესაბამისი სფეროს მიმწოდებლების მიერ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგის პროცესში საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად შეიმჩნევა მიმწოდებელთა შეთანხმების ეჭვი ტენდერის შედეგების ამსახველ ცვლადებში და, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, რა კრიტერიუმების საშუალებითაა შესაძლებელია ნაწილდებოდეს ბაზარი მიმწოდებელთა მიერ.

**ეტაპი 2: შეთანხმების ეჭვის გამოვლენა შედეგის ამსახველი ცვლადების ანალიზით.**

➢ ოლიგოპოლისტურ (ან მსგავსი სტრუქტურის მქონე) მიწოდების ბაზარზე მიმწოდებელთა შორის გარიგების ეჭვი მით უფრო მაღალია:

✓ რაც უფრო მცირეა ტენდერებში მიღწეული საშუალო ეკონომია;
✓ რაც უფრო მცირეა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა;
✓ რაც უფრო ხშირად შეიმჩნევა მიმწოდებელთა მხრიდან ტენდერებში მონაწილეობა მონაცვლეობით;

[5] მაგალითად, თუ შესაბამის ბაზარზე ორი, ან სამი მსხვილი მეწარმის ბრუნვის ოდენობა შეადგენს შესაბამისი ბაზრის მთლიანი ბრუნვის 90%–ს, მაშინ შესაძლებელია ითქვას, რომ შესაბამისი ბაზარი გამოირჩევა კონცენტრაციის მაღალი დონით.

- ✓ რაც უფრო ხშირად შეიმჩნევა რომელიმე მიმწოდებლის მიერ კონკურენტი მიმწოდებლის სუბკონტრაქტორად აყვანის ფაქტები;

**ეტაპი 3: შეთანხმების კრიტერიუმების იდენტიფიცირება.**

მიმწოდებელთა შორის გარიგების ეჭვის არსებობის შემთხვევაში, საჭიროაგამოვლიდნეს, თუ რა კრიტერიუმების საშუალებით ნაწილდება მიწოდების ბაზარი. მიწოდების ბაზრის დანაწილების შესაძლო კრიტერიუმებს განეკუთვნება, მაგალითად, დანაწილება:

- შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით;
- ტერიტორიული ნიშნით;
- ტენდერის მოცულობის მიხედვით (სავარაუდო ღირებულება);
- ურთიერთჩანაცვლებადი შესყიდვის ობიექტების ნაირსახეობების მიხედვით;
- დროის პერიოდში ბაზრის მიახლოებითი წილის შენარჩუნების კუთხით.

ანალიზის პირველ ეტაპს, შესაბამისად, ბაზრების კვლევისა და კონკურენციის დონის საფუძველზე, კრიტიკული CPV კოდების გამოვლენა წარმოადგენს. მეორე ეტაპზე, შესაძლებელია მსჯელობა, ნაწილდება თუ არა ბაზარი, ხოლო თუ ნაწილდება – რა კრიტერიუმების მიხედვით.

## 3.3 მიმწოდებელთა შეთანხმებული ქმედება კონკურენტულ ბაზრებზე

ოლიგოპოლისტური (ან მსგავსი) სტრუქტურის ბაზრებზე მიმწოდებელთა შეთანხმების სქემებისგან განსხვავებით, კონკურენტულ ბაზრებზე მიმწოდებელთა შორის შეთანხმების ინდიკატორები შესაძლებელია გამოვლინდეს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპზე. გამოვლენის მეთოდზე გადასვლამდე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიმწოდებელთა შეთანხმებების პრევენციის ძირითად ინსტრუმენტს შესყიდვების გამჭვირვალე სისტემა განეკუთვნება, რაც, თავისთავად, უზრუნველყოფს სატენდერო დოკუმენტაციებზე წვდომისა და წინადადების წარდგენის სიმარტივეს. წინამდებარე ნაწილში გაკეთებული დაშვების გათვალისწინებით[6], გამჭვირვალე სისტემის ფარგლებში, წინადადებების წარდგენის ეტაპზე, მიმწოდებელთ შორის შეთანხმებული ქმედება შესაძლებელია მიზნად ისახვდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ კეთილსინდისიერმა მიმწოდებლება არ მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობის რაუნდებში. თეორიულად, შესაძლებელია, რომ გარიგებაში მყოფმა მიმწოდებელმა შეზღუდოს კეთილსინდისიერი, ნაკლებად ინფორმირებული მიმწოდებელი ვაჭრობის

[6] წინამდებარე ნაწილში განხორციელდა დაშვება შემსყიდველი ორგანიზაციის კეთილსინდისიერების შესახებ.

რაუნდში მონაწილეობის მიღებისაგან შედარებით დაბალი ფასის წარდგენთ [7] . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ:

- ორი პრეტენდენტის შეთანხმებული ქმედების წარმატებულად განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს კეთილსინდისიერი პრეტენდენტის მხრიდან ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობაზე უარის თქმა ერთ-ერთი არალეთილსინდისიერი პრეტენდენტის მიერ დაბალი ფასის წარდგენაზე საპასუხოდ (იქიდან გამომდინარე, რომ კეთილსინდისიერი პრეტენდენტის ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილებაზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს არაკეთილსინდისიერი პრეტენდენტის დაბალმა ფასმა). კეთილსინდისიერი პრეტენდეტის მიერ ვაჭრობის რაუნდებში მონაწილეობაზე უარის თქმა, თავისთავად, შესაძლებელია განპირობებულ იქნეს მიმწოდებლის არაინფორმირებულობით გამარჯვებულის გამოვლენის მეთოდების/წესების შესახებ[8];
- ორი პრეტენდენტის შეთანხმებული ქმედების წარმატებულად განხორციელების მეორე წინაპირობას წარმოადგენს დაბალი ფასის წარმდგენი არაკეთილსინდისიერი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და, სავარაუდოდ, დისკვალიფიკაციის ის მიზეზი, რომელზეც კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები მინიმალურია (ნაკლებად სავარაუდოა ვაჭრობის ბოლო რაუნდში წინადადებაზე უარის თქმა, გამომდინარე შედარებით მაღალი ოდენობის სანქციიდან წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის დაკარგვის შედეგად);
- კეთილსინდისიერი პრეტენდენტის მიერ ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის გადაწყვეტილება დამოკიდებულია მის ინფორმირებულობაზე. შეთანხმებული ქმედება რჩება წარუმატებელი, თუ კეთილსინდისიერი პრეტენდენტი ევაჭრება მაღალი ფასის წარმდგენ არაკეთილსინდისიერ პრეტენდენტს, მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში დაფიქსირებულია დაბალი ფასი სხვა რომელიმე პრეტენდენტის მიერ.

რაც შეეხება კონკურენტულ ბაზრებზე მიმწოდებელთა შეთანხმებული ქმედების იდენტიფიცირებას, ანალიზის **პირველ ეტაპს** წარმოადგენს BI სისტემის მეშვეობით

[7] უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვების სისტემის დღევანდელი მოდელი ვაჭრობის ეტაპზე, გარდა პრეტენდენტების რაოდენობისა, თვალსაჩინოს ხდის მხოლოდ პრეტენდენტების მიერ წარდგენილ სატენდერო წინადადების ფასებს.

[8] მიმწოდებელთა ინფორმირებულობის ამაღლება შესაძლებელია, მაგალითად, სისტემური შეტყობინების საშუალებით. იმ შემთხვევაში, როდესაც პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასი რიგით არანაკლებ მესამეა, შესაძლებელია, პრეტენდენტს მიეცეს სისტემური მინიშნება, მიუხედავად წარდგენილი დაბალი ფასისა, მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობის რაუნდებში.

გენერირებული ანგარიში, რომელშიც ასახულია ყოველ ტენდერში მონაწილეთა ვინაობა შემდეგ დამატებით ინფორმაციასთან ერთად:

- ტენდერის ნომერი;
- შემსყიდველი ორგანიზაცია;
- CPV კოდი;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება
- ტენდერში მონაწილეთა რაოდენობა;
- ყოველი პრეტენდენტის ვინაობა;
- პრეტენდენტის სტატუსი (მაგალითად, შემდეგნაირად: 1 – პტერენდენტმა გაიმარჯვა, 2 – პრეტენდენტმა წააგო, 3 – პრეტენდენტი იქნა დისკვალიფიცირებული);
- ცალკეული პრეტენდენტების წინადადებები (როგორც ძირითად დროში, ასევე რაუნდებში);
- დისკვალიფიკაციის მიზეზი.

**ეტაპი 2:** ტენდერების გამოფილტვრა მიმწოდებელთა საეჭვო ქმედების წინაპირობებების მიხედვით, უპირველეს ყოვლისა:

- საეჭვოდ დაბალი ფასის წარდგენა ერთ-ერთი პრეტენდენტის მიერ (საეჭვოდ დაბალ ფასად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს 25%-ზე მეტი დანაზოგიც), როგორც ძირითად დროში, ასევე რომელიმე რაუნდის განმავლობაში;
- საეჭვოდ დაბალი ფასის წარმდგენი პრეტენდენტი იქნა დისკვალიფიცირებული, სავარაუდოდ, ისეთი მიზეზით, რომელზეც სანქცია ნაკლებია.

➢ არამართლზომიერი ქმედების ალბათობა მით უფრო მეტია:

✓ რაც უფრო ნაკლებია ტენდერში მიღებული (რეალური) დანაზოგი CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე;
✓ იმ შემთხვევაში, თუ დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის წინადადებით შემსყიდველი ორგანიზაცია მიიღებდა CPV კოდის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე მეტ დანაზოგს (რომ არ მომხდარიყო ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია);
✓ რაც უფრო ხშირად ვაწყდებით საეჭვო პრეტენდენტების კომბინაციას;
✓ რაც უფრო ნაკლებია სანქცია დისკვალიფიცირებულის მიმართ.

**ეტაპი 3:** გაფილტრული ტენდერების მონიტორინგის დროს ყურადღება გასამახვილებელია შემდეგ გარემოებებზე:

➢ რა წარმოადგენდა დისკვალიფიკაციის მიზეზს? რამდენად რთულ გარემოებას წარმოადგენდა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტისთვის?

- ვინ შეიძლება იყოს მეორე არაკეთილსინდისიერი პრეტენდენტი?
- რამდენად ხშირად (რამდენ ტენდერში) ფიქსირდება საეჭვო პრეტენდენტების ერთობლივი ქმედება?
- ხომ არ იმარჯვებენ საეჭვო პრეტენდენტები მონაცვლეობით?
- ხომ არ უმუშავიათ საეჭვო კომპანიებს, როგორც სუბკონტრაქტორებს (თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს)?
- რა მისამართებზე არიან საეჭვო კომპანიები დარეგისტრირებულები? ტელეფონის ნომრები? დამფუძნებლები? ინტერნეტპროვაიდერები? IP მისამართები?
- ხომ არ შეინიშნება საეჭვო კომპანიების წინადადებებში ანალოგიური შეცდომები (მაგალითად, გრამატიკული)?
- ხომ არ ჩნდება ეჭვი, რომ საეჭვო კომპანიებთან შეთანხმებულია შემსყიდველი ორგანიზაციაც?